



საგანმანათლებლო პროგრამა

შეთანხმებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
შეთანხმების №13, „4“ „ნოემბერი“, 2022 წელი
პრორექტორი ნინო ჯოჯუა, დოქტორი

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი №58, „11“ „ნოემბერი“, 2022 წელი
ფაკულტეტის დეკანი თამარ შიოშვილი, აფილირებული პროფესორი, დოქტორი

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს სხდომაზე
ოქმი №35, „14“ „ნოემბერი“, 2022 წელი
რექტორი საფეთ ბაირაქეთუთან, დოქტორი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საერთაშორისო ურთიერთობები

თბილისი
2022 წელი



საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საერთაშორისო ურთიერთობები / International Relations

ფაკულტეტი: სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: ნიკა ჩიტაძე, აფილირებული პროფესორი,

საკონტაქტო ტელ: +995 32 2595005 (156); ელ-ფოსტა: nchitadze@ibsu.edu.ge; ბაია ივანეიშვილი (თანახელმძღვანელი), დოქტორი, საკონტაქტო

ტელ: +995 32 2595005 (184); ელ-ფოსტა: bivaneishvili@ibsu.edu.ge

უმაღლესი განათლების საფეხური და კვალიფიკაციის დონე: ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დონე 6

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013): 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი/ Bachelor of International Relations

კვალიფიკაციის კოდი: 0312

სწავლების ენა: ინგლისური

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS კრედიტი

პროგრამის სტრუქტურა: უნივერსიტეტი იყენებს კრედიტების გრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოცულობაა 240 კრედიტი, მათ შორისაა:

- 120 კრედიტი - ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი (მათ შორის, საბაკალავრო ნაშრომი, 10 კრედიტის მოცულობით);
- 20 კრედიტი - არჩევითი კომპონენტი, რომელიც მოიცავს სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს;
- 5 კრედიტი - ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- 5 კრედიტი - აკადემიური წერა;
- 30 კრედიტი - უცხო ენა;
- 60 კრედიტი - თავისუფალი კრედიტი/დამატებითი პროგრამა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევით საგნად აბიგურიენცმა უნდა ჩააბაროს ერთ-ერთი შემდეგი ჩამონათვალიდან:



საგანმანათლებლო პროგრამა

მათემატიკა/ისტორია/სამოქალაქო განათლება/გეოგრაფია. აბიგურიენგმა უცხო ენის გამოცდაზე უნდა ჩააბაროს ინგლისური ენა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (50%+1).

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე – <https://iro.ibsu.edu.ge/en/home>

პროგრამის მიზანი:

1. საბაკალავრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამის ცოდნასა და კომპეტენციებს დარგში წარმატებული საქმიანობისა და სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისათვის. აღნიშნულის მისაღწევად, პროგრამა მიზნად ისახავს ქვემოთ განსაზღვრულ ორ მთავარ ამოცანას, რომელთაგან პირველი მოიაზრებს დისციპლინის ფართო და მრავალმხრივ შემეცნებას, ხოლო მეორე, ცოდნის საფუძველზე განვითარებულ კომპეტენციებს:

1.1. მისცეს სტუდენტებს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის თეორიული საფუძვლების, კვლევის მეთოდების და დარგობრივი კვლევის განხორციელების სპეციფიკის, პროცესებისა და მათი ისტორიული კონტექსტის, ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების სუბდისციპლინებისა და საკვანძო საკითხების ფართო ცოდნა. პროგრამის კურიკულუმი, ითვალისწინებს რა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს ინტერდისციპლინარულ ბუნებას, ასევე აწვდის სტუდენტს საბაზისო ცოდნას მის მომიჯნავე დისციპლინებში;

1.2. მიღებული ცოდნის საფუძველზე, განუვითაროს სტუდენტს ანალიტიკური და პრაქტიკული უნარ-შესაძლებლობები, როგორებიცაა საერთაშორისო ურთიერთობების აქტორების როლისა და ჩართულობის სპეციფიკის განსაზღვრა მსოფლიო პოლიტიკაში; საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და მის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების ანალიზი; საერთაშორისო ურთიერთობების მიმდინარე მოვლენებისა და გამოწვევების შეფასება; ხელმძღვანელის ზედამხედველობით, კვლევითი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება; დისციპლინის ფარგლებში სასურველი მიმართულებით ცოდნის გაფართოვება.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიულ მიზანს და თანხვედრაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.



საგანმანათლებლო პროგრამა

სწავლის შედეგები:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდებათ სპეციალობისთვის აუცილებელი შემდეგი ზოგადი (გრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, რომლებიც მოიცავენ ცოდნასა და განობიერებას; უნარებს; პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას:

1. აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე სამეცნიერო დისკურსის ძირითად მიმართულებებს, განიხილავს, განასხვავებს და აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს;
2. ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ინტერპრეტირებასა და კრიტიკულ გააზრებას; განსაზღვრავს და აანალიზებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიულ კონტექსტს;
3. ახდენს თეორიული საფუძვლების ინტერპრეტირებას და აყალიბებს დასკვნებს დარგის უმნიშვნელოვანეს საკითხებსა და სუბდისციპლინებთან, ასევე, მომიჯნავე დისციპლინებთან მიმართებით;
4. დარგის თეორიული საფუძვლებისა და უმნიშვნელოვანესი ისტორიული და თანამედროვე მოვლენების ფართო ცოდნის საფუძველზე, განმარტავს და (შე)აფასებს საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებს, აქტორების ინტერესებსა და საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართულობის სპეციფიკას; აღწერს და აანალიზებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს გამოწვევებს;
5. აღწერს ევროკავშირის სტრუქტურას, განიხილავს და განმარტავს მისი ინტეგრაციის ისტორიასა და თეორიულ საფუძვლებს; პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმებს, პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს; იაზრებს და აანალიზებს ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების აქტორის როლს;
6. განმარტავს საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებებს, მათი შემუშავების სპეციფიკას; განიხილავს და აანალიზებს საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიას, ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს;
7. ახდენს დარგობრივი კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების ინტერპრეტირებას, და მათ შერჩევას კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, გეგმავს და ახორციელებს კვლევას ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე;
8. აანალიზებს განხორციელებული კვლევის შედეგებს; აყალიბებს დასკვნებს და აფორმებს კვლევით ნაშრომს აკადემიური და ეთიკური სტანდარტების დაცვით;
9. წერს და საუბრობს თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად საერთაშორისო ურთიერთობების დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე;



საგანმანათლებლო პროგრამა

10. გეგმავს სასურველი მიმართულებით ცოდნის გაფართოებას, ახლენს საჭირო წყაროების იდენტიფიცირებას, ინფორმაციის მოპოვებასა და ინტერპრეტირებას, დამოუკიდებლად და ეფექტურად მართავს დროს.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა:

პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6	სწავლის შედეგი 7	სწავლის შედეგი 8	სწავლის შედეგი 9	სწავლის შედეგი 10
1	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
1.1	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>				<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>	
1.2	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>

სწავლის შედეგების რუკა:

სასწავლო კურსი / მოდული / პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	კომპეტენციების ჩამონათვალი									
	ცოდნა და გაცნობიერება; უნარი; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა									
	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6	სწავლის შედეგი 7	სწავლის შედეგი 8	სწავლის შედეგი 9	სწავლის შედეგი 10



საგანმანათლებლო პროგრამა

აკადემიური წერა								<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
პოლიტიკური აზრის ისტორია			<input checked="" type="checkbox"/>						<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ეკონომიკის საფუძვლები			<input checked="" type="checkbox"/>						<input checked="" type="checkbox"/>	
მსოფლიო ისტორიის მიმოხილვა		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>					<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	
ინფორმაციული ტექნოლოგიები								<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	
პოლიტიკური იდეოლოგიების საფუძვლები			<input checked="" type="checkbox"/>						<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>				<input checked="" type="checkbox"/>	
სოციოლოგიის საფუძვლები			<input checked="" type="checkbox"/>						<input checked="" type="checkbox"/>	
სამართლის საფუძვლები			<input checked="" type="checkbox"/>						<input checked="" type="checkbox"/>	
შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში			<input checked="" type="checkbox"/>						<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
პროფესიული ინგლისური I									<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
პროფესიული ინგლისური II									<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>



საგანმანათლებლო პროგრამა

შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
საერთაშორისო ორგანიზაციები		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>				<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
მოლაპარაკებები და კონფლიქტების გადაწყვეტა			<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>					<input checked="" type="checkbox"/>	
საერთაშორისო პოლიტიკა	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>				<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
საერთაშორისო ეკონომიკა			<input checked="" type="checkbox"/>						<input checked="" type="checkbox"/>	
საჯარო საერთაშორისო სამართალი			<input checked="" type="checkbox"/>						<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში							<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ევროკავშირის პოლიტიკა		<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>	
საქართველოს საგარეო პოლიტიკა					<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
თემისის წერა (პრაქტიკული კურსი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>



საგანმანათლებლო პროგრამა

საბაკალავრო ნაშრომი	☑	☑	☑	☑	☑*	☑*	☑	☑	☑	☑
---------------------	---	---	---	---	----	----	---	---	---	---

* საბაკალავრო ნაშრომისა და თემის წერის შემთხვევაში, შემთხვევაში, სწავლის შედეგები #5 და 6 მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული თემის ეხება შესაბამის საკითხებს (ევროკავშირი და/ან საქართველო, შესაბამისად).

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

ლექცია - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.

სამუშაო ჯგუფში მუშაობა - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქვისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გამიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.

პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქვისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

სემინარი - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინირებას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა გარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.

დამოუკიდებელი მუშაობა - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანელოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას,



საგანმანათლებლო პროგრამა

გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული სამინაო ღვალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

აღნიშნული სწავლა/სწავლების მეთოდების განხორციელება ხდება შემდეგი აქტივობების გამოყენებით:

პრეზენტაცია (ლექტორის მიერ) – იგულისხმება თხრობა და საუბარი, რომლის დროსაც ინფორმაცია გადაეცემა პედაგოგიდან სტუდენტს. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ. მნიშვნელოვანია ლექტორის მიერ ინფორმაციის სწორი აღქმისა და გაგების უზრუნველყოფა და გადამოწმება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ინსტრუქციების მიცემა. ლექტორს მოჰყავს კონკრეტული მაგალითები და იძლევა დეტალურ განმარტებებს.

დემონსტრირება – დემონსტრირების დროს ინფორმაციის ვიზუალური წარმოდგენა ხდება. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტანია, რადგან ითვალისწინებს სტუდენტის სხვადასხვა გიპის ინტერესებს. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალის ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიწოდება. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც ლექტორის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

ინდუქცია – ინდუქციის მთავარი მიზანია კონკრეტული ფაქტებისა და შემთხვევების განზოგადებაზე დაყრდნობით სტუდენტმა აღმოაჩინოს და ჩამოაყალიბოს ზოგადი პრინციპები თუ საფუძვლები, რომელთა ჭრილშიც შესაძლებელია პროცესების განხილვა და მოვლენების ახსნა. სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქცია – სწავლა-სწავლების გრადიციული მიდგომა, სადაც ლექტორი არის ინფორმაციის მთავარი წყარო და მისი ხელმძღვანელობით სტუდენტები ეცნობიან ზოგად თეორიებს; შედეგად კი, მათი მეშვეობით ცდილობენ ლოგიკისა და ანალიზის დახმარებით მოიძიონ კონკრეტული მაგალითები, მიიღონ ცოდნა და გამოიმუშაონ სათანადო უნარ-ჩვევები. დედუქცია განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ მასალის გადმოცემის თვალსაზრისით, პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისკენ.



საგანმანათლებლო პროგრამა

ანალიზი - თანამედროვე სამყაროში მრავალი სამეცნიერო დისციპლინა კომპლექსური გახდა; შესაბამისად, მათი შემსწავლელი კურსებიც მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. ანალიზის მეთოდი კი გვეხმარება როგორც მულტიდისციპლინარული, ასევე ინტერდისციპლინარული კურსების მასალის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. მოცემული მიდგომა შესაძლებელს ხდის შესასწავლი საკითხის ცალკეულ ასპექტებად დანაწევრებას; ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზი - მისი მიზანია ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანი მიდგომის შედგენა. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

შემთხვევების შესწავლა (case study) - აქტიური პრობლემურ-სიგუაციური ანალიზი, რომელიც გულისხმობს კონკრეტული სფეროდან აღებული რეალური, პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვით სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა მრავალმხრივ შეისწავლოს საკითხის არსი, გაანალიზოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო მიდგომები და საშუალებები და მოიძიოს, აირჩიოს და დაასაბუთოს მოქმედების კონკრეტული სტრატეგიები, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. „შემთხვევა“ (ქეისი) წარმოადგენს კონტექსტს და იგი თავად არის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა კონკრეტული სასწავლო კურსის მსვლელობისას მიღებული ცოდნა სტუდენტმა გამოიყენოს პრაქტიკაში, ანუ რეალურ შემთხვევასთან მიახლოებულ გარემოში.

გონებრივი იერიში (brain storming) - იგულისხმება კონკრეტულ საკითხზე მრავალრიცხოვანი, განსხვავებული მოსაზრებების ჩამოყალიბება. იგი ხელს უწყობს შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, როდესაც სტუდენტები ცდილობენ საკითხის მრავალმხრივ დანახვას და დეტალურად განხილვას. მოცემული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჯგუფის ყოველი წევრის მაქსიმალურ ჩართულობას. იგი განსაკუთრებით ეფექტურია მრავალრიცხოვანი ჯგუფის კონტექსტში.

დისკუსია - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალება. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსიის მსვლელობისას ხდება სხვადასხვა მოსაზრების დაპირისპირება და პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ შეკითხვების დასმით. საბოლოო მიზანი ასევე არის განსხვავებული აზრების შეჯერება. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

პროექტი - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.



საგანმანათლებლო პროგრამა

პრეზენტაცია (სტუდენტის / სტუდენტების მიერ) - თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით პრეზენტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ინტერაქტიულ და, თვალსაჩინოების კუთხით, ყველაზე ეფექტურ მიდგომას. იგი არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის და მიღებული შედეგების პრეზენტაციის პირობებში. იგი ამბობს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მოტივაციას, ასევე, ავითარებს კონკრეტულ უნარ-ჩვევებს - დაგეგმვა, კვლევის ჩატარება და მონაცემებისა თუ არგუმენტების თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად წარმოდგენა. იგი ასევე ავითარებს ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად მუშაობის უნარს.

ელექტრონული საშუალებებით სწავლება - გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზება ხდება ინტერნეტისა და მულტიმედიური სპეციფიკური საშუალებებით.

პრობლემების გადაჭრა - აქტივობა, რომელიც სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა კონკრეტული პრობლემის შესწავლის, ანალიზისა და გადაჭრის გზით. მისი გამოყენებისას მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს პრობლემის გადაჭრით მიღებული შედეგების შეფასებასა და ანალიზს. ამ მეთოდის გამოყენებით სტუდენტს უვითარდება ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.

ჯგუფური მუშაობა - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ინდივიდუალური მუშაობა - სასწავლო პროცესით განსაზღვრულ აქტივობებზე და სასწავლო პრცესში მიღებულ დავალებებზე სტუდენტის ინდივიდუალურად მუშაობა.

წიგნზე მუშაობა - სწავლის პროცესში აქტიურად გამოიყენება სწავლა/სწავლების საშუალება, რომლის დროსაც სტუდენტი ამუშავებს მასალას მიცემული ლიტერატურისა და სხვა წყაროების გამოყენებით.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა - იგულისხმება ახალი ცოდნის მიღებისა და შექმნილი ცოდნისა და სპეციფიური უნარ-ჩვევების ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად დარგიდან ან სფეროდან აღებული კონკრეტულ პრობლემების გამოყენება.

პრეზენტაციის მომზადება - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც ხდება კონკრეტული საკითხისა თუ თემის შესწავლა და ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, როგორცაა დაგეგმვა, კვლევის ჩატარება, მონაცემებისა თუ არგუმენტების დამუშავება, ანალიზი და დამაჯერებლად წარმოდგენა. იგი ავითარებს სტუდენტის ინდივიდუალურად მუშაობის უნარს.



საგანმანათლებლო პროგრამა

საშინაო დავალების შესრულება - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც ხდება სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესით განსაზღვრული და სასწავლო პროცესში მიღებული საშინაო დავალებების შესრულება. საშინაო დავალების შესრულება გულისხმობს სასწავლო პროცესით გათვალისწინებული მასალის წაკითხვა, დამუშავებასა და შესწავლას ასევე მიღებული დავალებების წერილობით შესრულებას ან მეპირ ფორმით წარმოდგენას.

ელექტრონული საშუალებებით სწავლა - გულისხმობს სწავლას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლის პროცესის ყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზება ხდება ინტერნეტისა და მულტიმედიური სპეციფიკური საშუალებებით.

ახსნა-განმარტების მეთოდი - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორი და სტუდენტები ლეგალურად მსჯელობენ ამა თუ იმ საკითხზე კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით. ამ მეთოდს აქვს ორმაგი ეფექტი - სტუდენტებს განემარტებათ კომპლექსური საკითხები, ხოლო ლექტორს ეძლევა შესაძლებლობა გადაამოწმოს, რამდენად მიიღწევა საკითხების სრული გაცნობიერება.

დებატები - სავარჯიშო სტუდენტებისთვის, რომელიც მათ უვითარებს არგუმენტების შედგენის, დამადასტურებელი მტკიცებულებების გამოყენების და აღნიშნულის მეპირი ფორმით დამაჯერებლად გადმოცემის უნარს. სტუდენტი იძენს სტრესთან და ეჭვებთან გამკლავების გამოცდილებას მაშინ, როცა მისი მოწინააღმდეგე მხარე მის პოზიციას მკაცრად აკრიტიკებს. ასეთი გამოცდილება სტუდენტებს ეხმარება ისწავლონ აღნიშნულ სიტუაციებთან გამკლავება და აიმაღლონ თავდაჯერებულობა. სტუდენტებს მიეცემათ საშუალება ივარჯიშონ და გაიუმჯობესონ საჯარო გამოსვლის და რიტორიკის უნარები.

ინტერაქტიული ლექციები - ეს მეთოდი გულისხმობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სალექციო თემის შესახებ დისკუსიაში. მცირე ჯგუფებში ან წყვილებში ამ მეთოდის გამოყენებით, ლექტორი ხვდება, რამდენად ესმით სტუდენტებს აღნიშნული თემა, სანამ მოხდება აუდიტორიისთვის მისი დაწვრილებით ახსნა. ლექციები უფრო ინტერაქტიული ხდება, თუ მსმენელებს შევეკითხებით საკუთარი გამოცდილების შესახებ, რაც თემასთან უნდა იყოს კავშირში. სტუდენტებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ კონკრეტული შემთხვევები, დაკვირვებები, ასახსნელ თემასთან მიმართებაში. ამასთანავე, თანაგუნდელები ხელს უწყობენ სხვებს თხრობის დროს, როდესაც არსებობს დამატებითი ხელშეწყობის საჭიროება. აღნიშნული ქმნის თავისუფალ და მეგობრულ გარემოს სწავლებისათვის.

კრიტიკული აზროვნება - სოკრატეს მეთოდი, რომელიც იყენებს შეკითხვებს სტუდენტების ღირებულებების და პრინციპების შესაფასებლად. ხაზგასმულია არა ცოდნა, არამედ აზროვნების უნარი. ამ მეთოდისთვის საჭიროა აუდიტორიაში იყოს ისეთი გარემო, რომელსაც უწოდებენ „პროლექტიულ დისკომფორტს“ და იყენებენ იმ მიზნით, რომ ხაზი გაესვას სირთულეებს, კომპლექსურობას და გაუგებრობას, და არა წმინდა ფაქტებს.

როლური თამაშები - ეს მეთოდი გულისხმობს მონაწილეების მიერ სხვა პირთა როლის მორგებას და გათამაშებას. მეთოდის დროს სტუდენტებს ეძლევათ ღია გიპის სიტუაციები, სადაც მათ ვეალებათ მიიღონ გადაწყვეტილება ან იმსჯელონ კონფლიქტური შემთხვევების მოგვარებაზე. როლური თამაში



საგანმანათლებლო პროგრამა

არის სწავლის ეფექტური სტრატეგია, რადგან იგი ეხმარება მონაწილეებს, კარგად გაიაზრონ იმ ინდივიდის როლი, რომელსაც ისინი მოცემულ მომენტში განასახიერებენ. ამასთანავე როლური თამაში გულისმობს სტუდენტის უშუალო ჩართულობას და რეალურ სიგუაცუასთან მიახლოებას. აღნიშნული მეთოდი საინტერესოა კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილების მიღებისა და მტკიცების უნარების განვითარებისათვის. როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს გააცნობიერონ, თუ როგორია სხვადასხვა სიგუაციებში შესაფერისი ქცევა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ბეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდამე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.



საგანმანათლებლო პროგრამა

შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების არანაკლებ 30%.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

